საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

თორნიკე ბაქრაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე - კოლეგიის წევრი

ცისმარ ონიანი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ე. ე.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 20.01.2020

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №005/20

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ნ. ხ.-ს მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. ხ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2020 წლის 20 იანვარს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ე. ე.-მ და მოითხოვა ადვოკატ ნ. ხ.-ს მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენება

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2019 წელს ადმინისტრაციულ დავაში დახმარების მიზნით მიმართა ადვოკატ ნ. ხ.-ს. ადვოკატს უნდა გაესაჩივრებინა ადმინისტრაციული აქტი და დაეცვა მისი უფლებები სასამართლოში. მომსახურების სანაცვლოდ ადვოკატის ჰონორარი განისაზღვრა 600 ლარით და ადვოკატმა 400 ლარი მომსახურების დაწყებამდე მიიღო.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ნ. ხ. გარკვეულ მოქმედებებს ასრულებდა მის საქმეზე, წერდა სხვადასხვა განცხადებებს, რომლებიც წარადგინეს იუსტიციის სახლში და

სასამართლოში, თუმცა, საჩივრის ავტორმა მისთვის სასურველი შედეგი ვერ მიიღო. ე. ე.-ს განცხადებით ადვოკატმა სრულყოფილად არ შეისწავლა საქმე, კერძოდ არ გამოცხადდა სადავო ბინაში და არ გაეცნო საქმის ვითარებას ახლოდან.

1.4 ე. ე.-მ მას შემდეგ შეწყვიტა ადვოკატთან ურთიერთობა, რაც მოსამართლემ შესთავაზა, რომ შეეძლო ადვოკატის აცილება. ამ ეტაპზე, საჩივრის ავტორის ინტერესებს იცავს სხვა ადვოკატი, რომელმაც შეძლო ე. ე.-ს რეგისტრაცია საცხოვრებელ სახლში.

1.5 საჩივრის ავტორმა მიმართა ადვოკატს თანხის დაბრუნების მოთხოვნით, თუმცა ნ. ხ.-მ თანხის დაბრუნებაზე უარი განაცხადა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2020 წლის 27 იანვარს ადვოკატმა ნ. ხ.-მ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში წარმოადგინა განმარტება და აღნიშნა, რომ საჩივრის ავტორის ინტერესებს იცავდა დაახლოებით 2-3 წლის წინ, რა დროსაც ე. ე.-ს მის მიმართ პრეტენზია არასოდეს გამოუთქვამს.

2.2 ადვოკატის განმარტებით, ე. ე.-მ დახმარება სთხოვა მას საცხოვრებელ სახლში რეგისტრაციის აღდგენის მიზნითა, რადგან მისმა ერთ-ერთმა შვილმა და რძალმა საჩივრის ავტორის, მისი მეუღლის და შვილის სახელზე რეგისტრაცია გააუქმეს. ე. ე.-მ ადვოკატს ასევე წარუდგინა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2013 წლის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც დაკმაყოფილებული იყო განცხადება რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე. ადვოკატმა უთხრა, რომ გაეცნობოდა საქმეს და რადგან გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა გასული იყო, მოგვიანებით შეატყობინებდა შესაძლებელი იქნებოდა თუ არა მის დახმარება. რამდენიმე დღის შემდეგ, ადვოკატი შეხვდა ე. ე.-ს და შესთავაზა, რომ განცხადებით მიემართათ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთვის, იმ შემთხვევაში თუ ისინი არ დააკმაყოფილებდნენ განცხადებას დავა გაეგრძელებინათ სასამართლოში. ე. ე. დათანხმდა აღნიშნულ შეთავაზებას. ე. ე.-მ ადვოკატს არ გაუფორმა მინდობილობა, რის გამოც ადვოკატის მიერ შედგენილ ყველა დოკუმენტს ხელს აწერდა საჩივრის ავტორი და ადვოკატს მასთან ერთად შეჰქონდა დოკუმენტაცია შესაბამის უწყებებში.

2.3 ადვოკატმა განცხადება წარადგინა სახელმწიფო სერვისების სააგენტოში, მათ არ დააკმაყოფილეს ე. ე.-ს მოთხოვნა, რის შემდეგაც ადვოკატმა სახელმწიფო სერვისების სააგენტოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა სასამართლო წესით. ნ. ხ.-მ რამოდენიმეჯერ წარადგინა დაზუსტებული სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოში, თუმცა სასამართლომ სარჩელი წარმოებაში არ მიიღო, რის გამოც ადვოკატმა ე. ე.-სთან ერთად წარადგინა კერძო საჩივარი. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით დაკმაყოფილდა კერძო საჩივარი. აღნიშნულის შემდეგ, ე. ე. შეხვდა ადვოკატს და უთხრა, რომ აღარ სურდა მასთან ურთიერთობის გაგრძელება, რადგან ადვოკატმა მის სასარგებლოდ არ დაასრულა საქმე.

2.4 ადვოკატი უარყოფს საჩივრის ავტორის განმარტებას ჰონორარის სახით 400 ლარის მიღების თაობაზე და აღნიშნავს, რომ ე. ე. მას სხვადასხვა დროს აძლევდა სხვადასხვა ოდენობის თანხას

ხარჯებისთვის, რამაც დაახლოებით 200 ლარი შეადგინა. ე. ე.-ს ასევე გადახდილი აქვს სარჩელისთვის გათვალისწინებული სახელმწიფო ბაჟი 100 ლარი და კერძო საჩივრისთვის 50 ლარი.

2.5 ადვოკატის განმარტებით, ე. ე.-მ ეთიკის კომისიაში საჩივრის წარმოდგენამდე მოსთხოვა 200 ლარის დაბრუნება. თუმცა ადვოკატი მიიჩნევს, რომ საჩივრის ავტორის პრეტენზიები მის მიმართ უსაფუძვლოა, რადგან მათი შეთანხმების საგანი იყო საქმის სასამართლომდე მიყვანა და ამის შემდეგ კი ადვოკატს ე. ე.-სთან ერთად უნდა განესაზღვრა სტრატეგია თუ როგორ გაგრძელდებოდა მათი ურთიერთობა. ადვოკატს ჰონორარის სახით არ აქვს თანხა მიღებული ე. ე.-სგან, საჩივრის ავტორის მიერ გადაცემული თანხები მოხმარდა საქმის წარმოების ხარჯებს.

II სამოტივაციონაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ნ. ხ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო.

3.2 ე. ე.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2020 წლის 20 იანვარს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2018 წელს. შესაბამისად, დაცულია ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2)

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ნ. ხ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიით, ადვოკატმა ნ. ხ.-მ არაჯეროვნად დაიცვა მისი ინტერესები სასამართლოში, რის გამოც ვერ მიიღო სასურველი შედეგი.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ნ. ხ.-ს მიერ შემდეგი ნორმების დარღვევის თაობაზე:

„ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები" („ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 5(ა) მუხლი).

„ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა" (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.5 მუხლი).

5.3 ადვოკატ-კლიენტს შორის ურთიერთობა წარმოიშობა შეთანხმების საფუძველზე, რომელიც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, შეიძლება დაიდოს როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი ფორმით. ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო მომსახურების გაწევისას კლიენტის ინტერესები წარმოადგინოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საშუალებით, საკუთარი ცოდნის და გამოცდილების გამოყენებით, რათა კლიენტმა მიიღოს კვალიფიციური და კეთილსინდისიერი მომსახურება.

5.4 საადვოკატო საქმიანობა, ადვოკატის მოვალეობები და კლიენტის ინტერესების დაცვა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონით (მუხლი – 2,5,6.) არ მოიცავს მხოლოდ კლიენტის ფორმალურ წარმომადგენლობას სასამართლოში, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ადვოკატი ვალდებულია გამოიყენოს მის დასაცავად ყველა საშუალება, რაც არ არის აკრძალული კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით, მათ შორის მოამზადოს საქმე სასამართლოზე განსახილველად წარსადგენად და მოიპოვოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებანი, განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ქმედება ამ სახის მტკიცებულების მოპოვებისა და სასამართლოში წარდგენისათვის“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 23.09.2010 წლის გადაწყვეტილება, საქმე N066/10).

5.5 საჩივრის ავტორი უკმაყოფილოა ადვოკატის მოქმედებებით, რადგან მან ვერ მიიღო მისთვს სასურველი შედეგი. ე. ე. არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ ადვოკატი ნ. ხ. ასრულებდა გარკვეულ მოქმედებებს, ადვოკატი ადგენდა სხვადასხვა დოკუმენტაციას, რის საფუძველზეც მიმართავდნენ იუსტიციის სახლსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს. შესაბამისად, როგორც საჩივრის ავტორის ასევე ადვოკატის განმარტებები თანხვედრაშია კლიენტის საქმეზე გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით. აღნიშნული ასევე დასტურდება საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით - 2018 წლის 23 მაისის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გადაწყვეტილებით, ამავე ორგანოს 2018 წლის 03 მაისისა და 14 მაისის წერილობითი პასუხებით, 2018 წლის 28 მაისს შედგენილი სარჩელით, 2018 წლის 17 ივლისის დაზუსტებული სარჩელით, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 04 სექტემბრის განჩინებით სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ. შესაბამისად, საპროცესო კოლეგია მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და მტკიცებულებების საფუძველზე მიიჩნევს, რომ ადვოკატი ნ. ხ. ე. ე.-ს ინტერესებს იცავდა, მათი ურთიერთობის შეწყვეტა კი მოხდა საჩივრის ავტორის ინიციატივით, რადგან მიიჩნევდა რომ ადმინისტრაციული დავა მის სასარგებლოდ არ დასრულდა ადვოკატის ბრალეულობით.

5.6 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ კლიენტისთვის სასურველი შედეგის მიუღებლობა არ გულისხმობს არაკვალიფიციურ მომსახურებას. ადვოკატი ე. ე.-ს მიმართ აღებული ვალდებულების ფარგლებში მოქმედებდა და კლიენტს კვალიფიციურად ემსახურებოდა, რაც გამოიხატებოდა კლიენტის ინტერესების სათანადო წესით დაცვაში - შესაბამის ადმინისტრაციული ორგანოსთვის მიმართვასა და სასამართლოში საქმის წარმოებაში. ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის რამდენად სწორი სტრატეგია აირჩია ადვოკატმა კლიენტის საქმის წარმოებისას და რამდენად სწორი იყო მის მიერ განხორციელებული მოქმედებები,

თუმცა დისციპლინური საქმის მასალებით დგინდება, რომ ადვოკატის ქმედებები მიზნად ისახავდა კლიენტის ინტერესების დაცვას.

5.7 ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ არ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი ადვოკატ ნ. ხ.-ს მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე და მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(ა) მუხლისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.5 მუხლის დარღვევას.

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30.1 და 40.1 მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №005/20 ადვოკატ ნ. ხ.-ს მიმართ, /სიითი №/, არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიისწევრი: /ცისმარ ონიანი/